



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის 2014-2019 წლების შეფასების შედეგები

ჩართულობის მხრივ ყველაზე მაღალი ხარისხის მქონე კანონპროექტების ინიციატორი სახელმწიფო უწყებების დაჯილდოება

პრესრელიზი

თბილისი. 10 ივლისი 2019 წელი - დღეს, 40-ზე მეტი საჯარო უწყებისა და კერძო სექტორის წარმომადგენელი შეიკრიბა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის საქართველოში“ (G4G) მიერ ორგანიზებულ - საქართველოში საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების 2014-2019 წლების ანგარიშის - პრეზენტაციასა და გამარჯვებული კანონპროექტების დაჯილდოების ცერემონიაზე. კანონპროექტის მომზადების პროცესში საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფისათვის ჯილდოები გადაეცა შემდეგ სამინისტროს: 1. საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი-ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; 2. საგადასახადო კოდექსი ცვლილებების შეტანის შესახებ-კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი ე.წ. ესტორნური მოდელი-ფინანსთა სამინისტრო; და 2. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შეხვედრა გახსნეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა **პიტერ ა. ვიზლერმა**, IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი კლდიაშვილმა** და საქართველოს პარლამენტის წევრმა **ირინა ფრუიძემ**.

გიორგი კლდიაშვილის აზრით „კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ყველაზე წარმატებული შემთხვევების გამოვლენით IDFI-ის გუნდი ხელს უწყობს პოლიტიკის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე ეფექტური კონსულტაციის პოზიტიურ გავლენას, და პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპზე მეტად ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესს.“

ირინა ფრუიძემ ფართოდ ისაუბრა საქართველოს პარლამენტის იმ საზედამხედველო მექანიზმების შესახებ რომლებიც დღეს ქვეყანაში მოქმედებს. „საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგანაც ჩართულობა, მონაწილეობა და თანამშრომლობა ხელს უწყობს უფრო ეფექტური კანონებისა და პოლიტიკის გატარებას.“ - **ირინა ფრუიძე**.

კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის 2014-2019 წლების შედეგებზე საუბრის დროს IDFI-ის მთავარმა იურისტმა **ნინო მერებაშვილი-ფიშერმა** აღნიშნა, რომ „საჯარო პოლიტიკის შემუშავების საწყის ეტაპზე ჩართულობის მხრივ პირდაპირი სამართლებრივი ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო დაწესებულებები უზრუნველყოფდნენ ან ცდილობდნენ უზრუნველყოფთ დიალოგი კერძო სექტორთან. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო დაწესებულებებს უძნელდებოდათ შეექმნათ მიღებული კომენტარების განხილვისა და მათი ავტორებისთვის უკუკავშირის მიწოდების სისტემატიზებული პროცესი. ამასთან ისინი ერიდებოდნენ დიალოგის უზრუნველყოფის მიზნით აქტივობების გამართვას მთელი ქვეყნის მასშტაბით და ძირითადად კონცენტრირებულნი იყვნენ თბილისზე. კვლევის პროცესმა აჩვენა, რომ რეგულირების გავლენის შეფასება მომზადდა შეფასებული 37 კანონპროექტიდან ექვს შემთხვევაში.“

2014-2019 წლებში IDFI-ის მიერ სულ შეფასდა 37 კანონპროექტი. შეფასების მიზნებისთვის ჩატარდა 200-მდე ინტერვიუ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან.

საკონტაქტო ინფორმაცია: მერი მახარაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი, IDFI, 599 500 137, m.makharashvili@idfi.ge